Global Schools Program

კურსის მიმოხილვა

მე-5 კლასი

წყარო Reimers, F. (2017). მოსწავლეების მოტივირება, რათა მათ გააუმჯობესონ გარემო 60 გაკვეთილში, გამოცემა პირველი. Createspace Independent-ის საგამომცემლო პლატფორმა.

აავტორო უფლება: © 2017 Fernando M. Reimers. ამუშევრიის საერთაშორისო ლიცენზიაა- the Creative Commons Attribution 4.0 . ლიცენზიის სანახავად ეწვიეთ ვებ-გვერდს: https://creativecommons.org/licenses/by/4.0/ ყველა უფლება დაცულია.

შენიშვნა:. ყველა კომპონენტი იქნა დამუშავებული და გამოცემული გლობალური სასკოლო პროგრამისგან დამოუკიდებლად.

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS 17 GOALS TO TRANSFORM OUR WORLD

Global Schools Program

მიმოხილვა	
სწავლის მიზანი მეხუთე კლასში მოსწავლეები ისწავლიან მრავალფეროვნების, კულტურის და კომუნიკაციის შესახებ რელიგიის პრიზმაში. ელიგიის შესახებ სწავლის, რელიგიის როლის გაცნობიერების მიხედვით მათ ცხოვრებაში მოსწავლეები დააფასებენ კულტურული მრავალფეროვნების სიმდიდრეს მსოფლიოში. ასევე ისინი განიხილავენ, თუ როგორ შეუძლიათ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს ერთმანეთთან კომუნიკაცია და ერთად მუშაობა პრობლემების გადასაჭრელად.	
აკვეთილის შაბლონი	
გაკვეთილი 1	როგორ არის ჩემი ფასეულობები დაკავშირებული სხვის ფასეულობებთან?
გაკვეთილი 2	როგორი არის რელიგია ჩემს საზოგადოებაში?
გაკვეთილი 3	რელიგია მსოფლიოს გარშემო
გაკვეთილი 4	რელიგიის შესწავლა
გაკვეთილი 5	კომუნიკაცია, კონფლიქტი და თანამშრომლობა რელიგიებს შორის
სწავლის მიზნები	
• მოსწავლეები ისწავლიან ახალი კულტურების შესახებ რელიგიაზე კონცენტრირებით. • მოსწავლეები კრიტიკულად იაზროვნებენ რელიგიისა და სხვადასხვა კულტურული ინსტუტების როლის შესახებ თავიანთი საზოგადოებისა და საკუთარ ცხოვრებაში. • მოსწავლეები გამოიყენებენ კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარებს განსხვავებების გამო წარმოშობილი კონფლიქტის მოსაგვარებლად.	

ე-5 კლასი, გაკვეთილი 1

"როგორ არს ჩემი ფასეულობები დაკავშირებული სხვის ფასეულობებთან?"

ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: სამოქალაქო განათლება, ისტორია, სოციალური სწავლებები
სტანდარტები: ხარისხიანი განათლება (მიზანი 4); შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16)
შეიმუშავა: Isabelle Byusa, Arianna Pattek, Emily Pope, Sam (Shiv) Sharma, Tisha Verma, Devon Wilson

შეჯამება და დასაბუთება: იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება აღმოაჩინონ თანაკვეთა ფასეულობებსა და რელიგიას შორის, მოსწავლეები შეასრულებენ სავარჯიშოს: ისინი სიტყვიერად გამოხატავენ თავიანთ ფასეულობებს, შემდეგ კი განიხილავენ, თუ როგორ შეიძლება იყოს ეს ფასეულობები თანხვედრაში ამა თუ იმ რელიგიასთან. ამის კეთებით მოსწავლეები აიმაღლებენ ცნობიერებას იმისა, თუ რატომ სცემენ თაყვანს და სწამთ ადამიანებს განსხვავებულად.

ასწავლო მიზანი: მოსწავლეები ისაუბრებენ თავიანთ ფასეულობებზე და შემდეგ გაეცნობიან, თუ რომელი რელიგიის სწავლებებს ესადაგება ის.

გაცნობიერების მიზნები: ტოლერანტობის გაღვივება სხვადასხვა რელიგიიის მიმართ და ინდივიდუალური იდენტობის შემეცნება.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- რა არის რელიგიური ტოლერანტობა?
- რომელია თქვენი რელიგია და რა არის მისი ფასეულობები?
- როგორ შეგვიძლია რელიგიური მრავალფეროვნებისადმი ტოლერანტობისა და პატივისცემის გამომუშავება?

სწავლების მიზნები (მოსწავლე შეძლებს):

- შეექმნას წარმოდგენა რელიგიის შესახებ მსოფლიოს გარშემო
- შეექმნას წარმოდგენა რელიგიების და საკუთარი ფასეულობების თანაკვეთის შესახებ
- განუვითარდეს რელიგიური მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის გრძნობა

შეფასება: მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს გააზრება თავისი ფასეულობებისა და ამის კავშირისა კლასის, როგორც ერთიანის, ფასეულობებთან.

აქტივობების მიმდევრობა:

- **გაკვეთილის დაწყებამდე:** ესაუბრეთ მოსწავლეებს ფასეულობებზე, სთხოვეთ მათ დაფიქრდენენ ფასეულობებზე და ამოარჩიონ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი 5-10 ცალი.

- **დასაწყისი: ს**თხოვეთ მოსწავლეებს იწინასწარმეტყველონ, თუ რაოდენ თანხვედრაშია მათი ფასეულობები თანაკლასელების ფასეულობებთან, შემდეგ კი იმსჯელონ ამაზე.

- **შემდეგ,** ჩამოწერეთ ფასეულობები კატეგორიებად, ჰკითხეთ მოსწავლეებს, რომელ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ თავს ყველაზე მეტად და ჩაატარეთ ხმის მიცემა ამ კატეგორიაზე.

- **მის შემდეგ** უთხარით მოსწავლეებს, რომელ რელიგიასთან არის ეს ფასეულობები ყველაზე ახლოს.

- **ადასვლა რელიგიაზე→** აუხსენით მოსწავლეებს, თუ როგორ თანხვედრაშია რელიგიები და ფასეულობები კატეგორიებიდან და რა აქვთ განსვავებული.

- **ადგილობრივი:** მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ რომელი რელიგიები არსებობს ჩვენს საზოგადოებაში.

- **კითხვები დამოუკიდებელი შესწავლისა და კვლევისთვის:**
  - რამდენი რელიგია არსებობს მსოფლიოში?
  - ყურეთ ქვემოთ მოცემულ 100 ადამიანის ვიდეოს
  - გამოიკვლიეთ საკუთარი წინაპრების რელიგია.

ესურსი მოსწავლეებისთვის:

- 100 ადამიანის პროექტი: http://tiny.cc/G5L1R1

ესურსი მასწავლებლისთვის:

- 100 ადამიანი: https://www.100people.org/wp-content/themes/wordpress-naked/images/100_People_Curriculum-Global_Issues.pdf

ე-5 კლასი, გაკვეთილი 2
"როგორი არის რელიიგია ჩემს საზოგადოებაში?"

ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: სამოქალაქო განათლება, ისტორია, სოციალური სწავლებები
სტანდარტები: ხარისხიანი განათლება (მიზანი 4); უთანასწორობის შემცირება (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16)
შეიმუშავა: Isabelle Byusa, Arianna Pattek, Emily Pope, Sam (Shiv) Sharma, Tisha Verma, Devon Wilson

შეჯამება და დასაბუთება: ამ გაკვეთილის მიზანი არის, რომ მოსწავლეებს დაეხმაროს თავიანთი ადგილის შემეცნებაში მსოფლიოში, სადაც უამრავ რელიგიას მისდევენ, და იპოვონ კავშირები თავიანთ ადგილობრივ თემთან.

სასწავლო მიზანი: მოსწავლეები შეისწავლიან თავიანთ თემში არსებულ რელიგიებს და დაფიქრდებიან, თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა რელიგია ერთმანეთსა და საზოგადოებაზე.

გაცნობიერების მიზანი: ადგილობრივ თემში/საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა რელიგიის შესახებ სწავლა.

მნიშვნელოვანი კითხვა: უნდა იყოს თუ არა რელიგია განმასხვავებელი ფაქტორი იმისა, თუ როგორ ვუყურებთ ჩვენი თემის/საზოგადოების წევრებს?

მოსწავლეები შეძლებენ, რომ: მიიღონ მათ საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა რელიგიის შესახებ ცოდნა.

შეფასება: მოსწავლეებს შეეძლებათ მათ საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა რელიგიის გაგების/გაცნობიერების გამოხატვა.

აქტივობების თანმიმდევრობა:

- სხვადასხვა რელიგიაზე მსჯელობა წინა გაკვეთილზე განხილულის გათვალისწინებით.

- დაყავით მოსწავლეები სხვადასხვა ჯგუფებად, რათა შეისწავლონ სხვადასხვა რელიგია ონლაინ რესურსების (ვებგვერდები და YouTube-ის ვიდეოები) გამოყენებით ან ადგილობრივ თემში სხვადასხვა რელიგიის სალოცავების სტუმრობით.
- .
    - იდეალურ სიტუაციაში მოსწავლეები შეძლებენ თავიანთი თვალით იხილონ ეს რელიგიური ადგილები.

- საკლასო დისკუსიის მეშვეობით გაუზიარონ მოსწავლეებმა ერთმანეთს, თუ რა ისწავლეს მათ თემში/საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა რელიგიაზე. მოსწავლეებმა შეიძლება ისაუბრონ 1-2 იდეაზე, რომლებიც აიღეს ამ თემიდან ანდა სხვისი ნასაუბრევიდან.

რესურსი მასწავლებლებისთვის:

- გაერთიანებული ერების გლობალური გამოკითხვა: http://tiny.cc/G5L2R1

ე-5 კლასი, გაკვეთილი 3
"რელიგია მსოფლიოოს გარშემო"

ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: სამოქალაქო განათლება, ისტორია, სოციალური სწავლებები
სტანდარტები: ხარისხიანი განათლება (მიზანი 4); შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16)
შეიმუშავა: Isabelle Byusa, Arianna Pattek, Emily Pope, Sam (Shiv) Sharma, Tisha Verma, Devon Wilson

შეჯამება და დასაბუთება: გავაცნოთ მოსწავლეებს მსოფლიოს გარშემო რელიგიური ლიდერები, რომლებსაც შეაქვთ დადებითი ცვლილებები თავიანთ საზოგადოებაში, და დავაფიქროთ და გონივრულად და პატივისცემით ჩამოვაყალიბებინოთ კითხვები სხვადასხვა რელიგიას შორის მსგავსებისა და განსხვავებების სწავლის პროცესში.

სასწავლო მიზნები: მოსწავლეები ისწავლიან ცნობილი რელიგიური ლიდერის შესახებ და განიხილავენ, თუ რა გააკეთა ამ ლიდერმა იმისთვის, რომ ხელი შეეწყო რელიგიური ტოლერანტობისთვის.

გავნობიერების მიზნები:
- ყველა რელიგიის მიმართ ტოლერანტობის განვითარება.
- მოსწავლის პირადი იდენტობის აღქმის გაღრმავება.

მნიშვნელოვანი კითხვები:
- რა არის რელიგიური ტოლერანტობა?
- რომელია თქვენი რელიგია (თუ გაგაჩნიათ) და რა არის თქვენი რელიგიის ფასეულობები?
- ინ არიან ლიდერები, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიოს რელიგიებს?
- როგორ განვავითაროთ რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტობა და პატივისცემა?

სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ...):
- აეცნონ მსოფლიოს რელიგიებს ლიდერების საშუალებით.
- დაფიქრდნენ მსგავსებებსა და განსხვავებებზე რელიგიაში.
- ანივითარონ პატივისცემა ყველა ადამიანის მიმართ მიუხედავად რელიგიური განსხვავებებისა.

შეფასება: ფურცელი "პატივისცემისა და ცნობისმოყვარეობის გამო", რომელიც გამოკვეთს მოსწავლეების სამსჯელო კითხვებს მათ მიერ შესწავლილი რელიგიების გარშემო.

აქტივობების თანმიმდევრობა:

- **დაიწყეთ (20 წუთი)** მსოფლიო რელიგიების სიის გადახედვით. ემდეგ მოიყვანეთ ფართოდ გავრცელებული და ნაკლებად გავრცელებული რელიგიების მაგალითები და მიმოიხილეთ შემდეგი ასპექტები:
    - ელიგიის ძირითადი მრწამსი
    - წმინდა ტექსტები
    - დღესასწაულები და წმინდა დღეები
    - ჩაცმულობა

- **შემდეგ (25 წუთი)** მიეცით მოსწავლეებს ჩანაწერი, ვიდეო ან ტექსტი, რომელიც მოუთხრობს მათ მსოფლიო ლიდერზე, რომელმაც დადებითი ცვლილება მოუტანა თავის თემს/საზოგადოებას. მაგალითად მაჰათმა განდი, მარტინ ლუთერ კინგ უმცროსი, დედა ტერეზა, მალალა იუსაფზაი, აგა ხანი და სხვა... ასევე შეიძლება ადგილობრივი რელიგიური ლიდერიც იყოს. უბიძგეთ მოსწავლეებს ისაუბრონ და გაუზიარონ აზრები ერთმანეთს.
    - ამსჯელო კითხვები:
        - როგორ როლს თამაშობს რელიგია სოციალურ ცვლილებაში?
        - როგორ ზეგავლენას ახდენს რელიგია ლიდერებზე?
        - რა მსგავსებები და განსხვავებებია ამ ლიდერებს შორის?

- **საბოლოოდ (ბოლო 15 წუთის მანძილზე)** სთხოვეთ მოსწავლეებს გააანალიზონ გაკვეთილი და მისწერონ წერილი რელიგიურ ლიდერს.
    - ერთადერთი მითითება მოსწავლეებისთვის იქნება ის, რომ მათ დაწერონ პატივისცემისა და ცნობისმოყვარეობიდან გამომდინარე, რათა ერთგვარი გამოწვევა იყოს მოსწავლეებისთვის, რომ შეკითხვები დასვან გონივრულად და მგრძნობიარე ფორმით.
    - ემდეგ მოსწავლეები გაუზიარებენ თავიანთ შეკითხვებს მასწავლებელს, მან კი უნდა შეამოწმოს და დაამოწმოს მგრძნობიარე კითვები, ხოლო მათ, ვისი შეკითხვებიც არასენსიტიურია, დაეხმაროს და შესთავაზოს უფრო მგრძნობიარე, ნეიტრალური და ცნობისმოყვარეობის გამომზატველი სიტყვები.

ესურსები მასწავლებლებისთვის:

- რელიგიური ტორელანტობა: http://tiny.cc/G5L3R1
- ტოლერანტობის სწავლება: https://www.learningforjustice.org/learning-plan/5th-grade-diversity-lessons-0
- შევხედოთ მსოფლიოს რელიგიებს უფრო ახლოდან: http://tiny.cc/G5L3R3
- რელიგიის სწავლება: http://tiny.cc/G5L3R4
- ნეიტრალობის შენარჩუნება: http://tiny.cc/G5L3R5

ე-5 კლასი, გაკვეთილი 4
“ ელიგიის შესწავლა”

ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: სამოქალაქო განათლება, ისტორია, სოციალური სწავლებები
სტანდარტები: ხარისხიანი განათლება (მიზანი 4); შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16)
ეიმუშავა: Isabelle Byusa, Arianna Pattek, Emily Pope, Sam (Shiv) Sharma, Tisha Verma, Devon Wilson

შეჯამება და დასაბუთება:

- მოსწავლეებს მიეცემათ გაკვეთილიდან დრო, რომ შექმნან ჯგუფები, რათა დაიწყონ პატარა კვლევითი პროექტი იმ რელიგიურ თემაზე, რომელიც მათ აინტერესებთ.
- მოსწავლეები კლასს გაუზიარებენ თავიანთ აღმოჩენებს და კვლევის შედეგებს.
- რჩიეთ მოსწავლეებს, რომ აირჩიონ ისეთი თემა, რომელიც მათთვის ნაკლებად ცნობილია — იდეალურ შემთხვევაში თემა შეეხება მათსავე რელიგიას (იმ შემთხვევაში, თუ აქვთ).

სასწავლო მიზანი: მოსწავლეები გამოიკველევნ რელიგიის თემას და გაუზიარებენ აღმოჩენებს თავიანთ კლასელებს.

გაცნობიერების მიზანი: გამოიმუშაონ ფაქტებზე დამყარებული ტოლერანტობა რელიგიების მიმართ.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- რა გაინტერესებს?
- როგორ შეგვიძლია ჩვენ შევისწავლოთ და გავაზიაროთ ჩვენი აღმოჩენები?

სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):

- ჩამოიყალიბონ რელიგიის უფრო ღრმა აღქმა და ცნობიერება.
- ჩამოიყალიბონ წერითი, კვლევითი და რედაქტირების უნარები.

შეფასება: საბოლოო პროდუქტი შესწორებების შემდეგ; უკუკავშირი “გაზეთის რედაქტორისგან” (მასწავლებელი ან ერთ-ერთი მოსწავლე).

აქტივობების მიმდევრობა:

- **ნაწილი 1**
    - მოსწავლეებს ჰკითხეთ, მათი აზრით, როგორ მზადდება გაზეთი. ეს საუბარი მიგვიყვანს დისკუსიამდე ჟურნალისტობასა და კვლევის უნარებზე.

- აქედან მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, მათი აზრით, რისი გათვალისწინება არის აუცილებელი ჟურნალისტისთვის (მართლწერა, საინტერესო წერის უნარი, ზეგავლენა საზოგადოებაზე და ა.შ.)
- აქედან კი მოსწავლეებს გააცანით, რომ კლასი გეგმავს ღია სკოლის გაზეთის გახსნას. ამისთვის საჭიროა დაინიშნოს სხვადასხვა თანამდებობის მუშაკები (გაზეთის დიზაინერი, რედაქტორები და სხვა...). მოსწავლეებმა უნდა მოირგონ ეს როლები და ასევე იმსახურონ ჟურნალისტებად.

- **ნაწილი 2**
  - მოსწავლეებს ჰკითხეთ, თუ რომელი რელიგიების შესახებ მოყოლა იქნებოდა საინტერსო და პასუხები დაიწერება დაფაზე. ემდეგ ჰკითხეთ, რა აინტერესებთ კონკრეტული რელიგიიდან და შეიქმნება ქვეკატეგორიები (მაგ.: რელიგიიის ისტორია, გავრცელება მსოფლიოს გარშემო, იერარქია, ფასეულობები, დღესასწაულები და სხვა...)
  - მოსწავლეებს ურჩიეთ გამოვიდნენ დაფასთან და თავიანთი სახელი მიაწერონ მათთვის საინტერესო თემის გასწვრივ ან დაწერონ მათთვის საინტერესო ახალი თემა, რომელსაც ისენი შეისწავლიან რელიგიის სფეროში.

- **ნაწილი 3**
  - მოსწავლეებს ევალებათ წყვილებში შექმნან კვლევის გეგმა, რომელიც მოიცავს:
    - რამდენიმე კითხვას/მათთვის საინტერესო მომენტს
    - ათი ამჟამინდელი ცოდნის ასახვას
  - მოსწავლეებს დანარჩენი დრო მიეცემათ კვლევის დასაწყებად პირველი სტატიისთვის, რომლის შაბლონიც უნდა წარადგინონ ერთ კვირაში.

- **ნაწილი 4**
  - შაბლონის ჩაბარების შემდეგ ისინი მიიღებენ შემსწორებლის რჩევას:
    - არის ნაშრომი მიუკერძოებელი?
    - მიიპყრო მან მკითხველის ყურადღება?
    - იყო გრამატიკული შეცდომები?
    - და სხვა.
  - მოსწავლეებს მიეცემათ შანსი შეიტანონ ცვლილებები, სანამ ნაშრომი წარედგინება მთავარ რედაქტორს (მასწავლებელს).

- **ნაწილი 5**
  - აქედან მასწავლებელს შეუძლია თავად აკინძოს ნაშრომი ერთად და გაუზიაროს ის მოსწავლეებს ან ცაკლე აქტივობად აქციოს და მოსწავლეებმა მოიფიქრონ გაზეთის სახელი და სხვადასხვა სახის დიზაინი (გაზეთი შეიძლება იყოს ონლაინ ხელმისაწვდომი ან დაბეჭდილი).

- **ნაწილი 6**
    - როექტის დასრულების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს დაუბრუნდნენ კვლევამდე პერიოდს და დაწერონ “მე ადრე მეგონა, რომ _____.” “მე ახლა ვიცი, რომ _____.” (იხილეთ ხილული აზროვნების ჩარჩოს ბმული).

რესურსი მასწავლებლებისთვის:

- ხილული აზროვნების ჩარჩო — პროექტი ნული: http://www.pz.harvard.edu/projects/visible-thinking

ე-5 კლასი, გაკვეთილი 5

"კომუნიკაცია, კონფლიქტი და თანამშრომლობა რელიგიებს შორის "

ხანგრძლივობა: 60 წუთი
თემები: სამოქალაქო განათლება, ისტორია, სოციალური სწავლებები
სტანდარტები: ხარისხიანი განათლება (მიზანი 4); შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16)
შეიმუშავა: Isabelle Byusa, Arianna Pattek, Emily Pope, Sam (Shiv) Sharma, Tisha Verma, Devon Wilson

შეჯამება და დასაბუთება: წინა გაკვეთილების ცოდნის შეჯამება და მისი გადატანა ყოველდღიურობაში.

სასწავლო მიზანი: მოსწავლეები განიხილავენ რელიგიურ შეუწყნარებლობას ჰიპოთეტურ სცენარში და დაფიქრდებიან როგორ ითარგმნება ეს მათ ცხოვრებაში.

აცნობიერების მიზნები:
- როგორ ვიმუშაოთ განსხვავებებზე
- როგორ ამოვიცნოთ პრობლემა
- როგორ მივაღწიოთ კონსენსუსს მშვიდობიან გამოსავალზე, რომელიც მოიცავს ყველა მხარის ინტერესებს.

მნიშვნელოვანი კითხვები:
- რა არის კონფლიქტი?
- როგორ გადავჭრათ პრობლემა მშვიდობიანად?

სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ, რომ...):
- წარადგინონ პრობლემის გადაჭრის ინკლუზიური გზა.
    - აზომი იქნება საკლასო პროცესში ჩართულობა და კლასის წინაშე პრეზენტაცია.
- სამუშაოს პროდიუქტიულობა გუნდურ გარემოში
    - აზომი იქნება მასწავლებლის დაკვირვება და თანაკლასელების უკუკავშირი.

შეფასება: რუბრიკა ჯგუფური პრეზენტაციისთვის, რომელიც არის მასწავლებლის რესურსებში.

აქტივობების მიმდევრობა:

- **კლასის დაწყებამდე (10 წუთი):** დაუსვით ბავშვებს შემდეგი კითხვები, დისკუსიაში ჩართეთ ჯერ პატარა ჯგუფები, შემდეგ მთელი კლასი.
    - რას ნიშნავს კონფლიქტი?
    - რას ნიშნავს შეუწყნარებლობა თქვენთვის?
    - როდისმე შესწრებიხართ კონფლიქტს? რა მოხდა?
    - რა ემოციები შეამჩნიეთ კონფლიქტის მონაწილეებში?
    - როგორ გადაიჭრა პრობლემა?

- **მთავარი აქტივობა (30 წუთი):** დაყავით კლასი ჯგუფებად, არაუმეტეს 4-5 ბავშვისა. წაიკითხეთ დაბლა მოყვანილი სცენარი და სთხოვეთ გუნდებს იმუშაონ და შექმნან სკეტჩი, რომელიც ასახავს მათს გადაჭრის გზას:

  სახელმწიფოში სახელად ზორგი არსებობს ოთხი ძირითადი რელიგია. ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავს თორის რელიგიას. ხვა რელიგიებია ზარიას, მოოკის და ბიკის. თორი და ზარია კატეგორიულად ეწინააღმდეგება გოგონების სკოლაში სიარულს რელიგიურ მიდგომებზე დაყრდნობით. ხოლო მოოკას და ბიკის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ღმერთმა მისცა გოგოებს სკოლაში სიარულის უფლება. ასევე ზარიას, მოოკას და ბიკის მიმდევრები არ გრძნობენ თავს მთავრობაში წარმოდგენილად, რადგან იქ დომინირებენ თორის მიმდევრები. თორის მიმდევარი მთავრობა ცდილობს გაატაროს კანონი, რომლის მიხედვითაც გოგონები ვერ ივლიან სკოლაში. ამის გამო მოოკის, ბიკის და ზარიას მიდევრები ზორგის დედაქალაქში აწყობენ ძალადობრივ პროტესტებს, რაც თორის მიმდევრებს კიდევ უფრო უქრობს მოლაპარაკების სურვილს. რას იზამდით ამპრობლემის გადასაჭრელად?

- **პრეზენტაცია და შეჯამება (20 წუთი):** მოსწავლეები წარადგენენ 3-4 წუთიან სკეტჩებს. მასწავლებელი გაუძღვება დისკუსიას პროცესის პირადული ასახვის/რეფლექსიის ასპექტზე. ამ ჩაიარა კარგად? რა ისწავლეთ?

ესურსი მოსწავლისთვის :

- ონფლიქტური სიტუაციების გადაჭრა: http://tiny.cc/G5L5R1

ესურსი მასწავლებლისთვის:

- ოსმენისა და საუბრის სტანდარტები: http://tiny.cc/G5L5R2